თვითმმართველი ქალაქი ფოთი

კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების შესყიდვა

(ქალაქ ფოთში, ფარნავაზ მეფის ქ. N1, N1ა, N3, N5, N7-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების შეფუთვის (გადახურვა ლითონკრამიტის ფურცლებით, ფასადის შეფუთვა ზედაპირდამუშავებული პენოპლასტით)
საპროექტო მომსახურების შესყიდვა)

საკონკურსო განცხადება (დოკუმენტაცია)

კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების შესყიდვის პროცედურა ხორციელდება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10ბ მუხლის მე-2 პუნქტისა და 24-ე მუხლის მე-10 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და ,,კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების შესაბამისად.

2012 წელი

განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

1. თვითმმართველი ქალაქ ფოთი (შემდგომში - ქალაქი ფოთი) აცხადებს კონკურსს საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და კონკურსში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

2. კონკურსის მიზანს წარმოადგენს გამოვლინდეს გამარჯვებული თვითმართველი ქალაქის ტერიტორიაზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების შეფუთვის (გადახურვა ლითონ - კრამიტის ფურცლებით, ფასადის შეფუთვა ზედაპირდამუშავებული პენოპლასტით) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე.

3. შესყიდვის ობიექტია: ქ. ფოთში ფარნავაზ მეფის ქ. N1, N1ა, N3, N5, N7-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების შეფუთვის (გადახურვა ლითონკრამიტის ფურცლებით, ფასადის შეფუთვა ზედაპირდამუშავებული პენოპლასტით) საპროექტო მომსახურების შესყიდვა.

- კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს ესკიზური პროექტი (ელექტრონული ვერსია), განმარტებითი ბარათით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს ფერადი ფასადები, ფერადი ვიზუალიზაცია, ბინების საერთო ხედი, განშლა და ხარჯთაღრიცხვის საორიენტაციო ღირებულება.

4. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს - 9000 ლარს, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადებისა და ხარჯების ჩათვლით.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 კალენდარული დღე.

6. დეფექტურ აქტს ადგენს მიმწოდებელი, შემსყიდველის წარმომადგენლის მონაწილეობით.

7. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შემსყიდველისათვის წარმოდგენილი უნდა იქნეს, როგორც ბეჭდური (4 ეგზემპლარი), ასევე ელექტრონული ფორმით.

8. კონკურსში მონაწილეობის საფასური

8.1 კონკურსში მონაწილე პირი, საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge).

8.2 საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:
ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

პირის მიერ ამ მუხლის 8.2 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების დარღვევით გაცემული დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში, წარდგენილი საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება.

9. საკონკურსო წინადადებები გაიხსნება 2012 წლის 7 მაისს 12 საათზე.

დაინტერესებულმა პირებმა განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ, საკონკურსო წინადადება (იხ. დანართი 2) ესკიზი, თანდართულ დოკუმენტები და საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე ერთ ეგზემპლარად, უნდა წარმოადგინონ საკონკურსო განცხადების სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე www.procurement.gov.ge გამოქვეყნების დღიდან 2012 წლის 7 მაისს 12 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, აღმაშენებლის ქ. N12, თვითმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოში (ქ. ფოთი აღმაშენებლის ქუჩა N12, მე-2 სართული). განცხადებას თან უნდა ახლდეს წარმოდგენილი დოკუმენტების ნუსხა, ხელმოწერილი განმცხადებლის მიერ.

საკონკურსო წინადადების ფასში სრულად უნდა იყოს მოცემული კონკურსით გათვალისწინებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკემენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯები, დღგ-სა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადები.

საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადა განისაზღვრება საკონკურსო წინადადების წარმოდგენის დღიდან 60 დღის განმავლობაში.

10. საკვალიფიკაციო მოთხოვნები

10.1 საკვალიფიკაციო მოთხოვნების თანახმად, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები და ინფორმაცია:

10.1.1 იურიდიული პირებისათვის და ინდივიდუალური მეწარმეებისათვის:

ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან (საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან).

ბ) ცნობა საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ (დასაშვებია სალდირებული ზედმეტობა);

10.1.2 ფიზიკური პირებისათვის (გარდა ინდივიდუალური მეწარმისა):

ა) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი.

ბ) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოდან ნასამართლეობის შესახებ, რომლითაც დასტურდება, რომ პირი არ არის ნასამართლევი სამეწარმეო ან ეკონომიკური საქმიანობისა და სამოხელეო დანაშაულისათვის;

გ) ცნობა, საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ფიზიკური პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ.

დ) ცნობა საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ (დასაშვებია სალდირებული ზედმეტობა);

ე) საგადასახადო ორგანოში გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის ცნობა.

შენიშვნა: საქართველოს მოქალაქეობის არ მქონე ფიზიკური პირი ან უცხო ქვეყნის იურიდიული პირი წარმოადგენს საკვალიფიკაციო მოთხოვნების 1.1. პუნქტით დადგენილი მოთხოვნების ექვივალენტურ მონაცემებს, რომლებიც სათანადო წესით არის დამოწმებული ან ლეგალიზებული.აღნიშნულ დოკუმენტებს თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

11. საკვალიფიკაციო მონაცემები და ცნობები შესაბამისი უწყებებიდან მიღებულ უნდა იქნეს მხოლოდ საკონკურსო განცხადების გამოქვეყნებიდან მისი მიღების ვადის დასრულების პერიოდის გათვალისწინებით.

12. კონკურსანტის მიერ საკვალიფიკაცო მონაცემების წარმოუდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენის შემთხვევაში, საკონკურსო კომისია მოახდენს ამ კონკურსანტის დისკვალიფიკაციას.

13. კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს ესკიზური პროექტი (ელექტრონული ვერსია), განმარტებითი ბარათით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს ფერადი ფასადები, ფერადი ვიზუალიზაცია, ბინების საერთო ხედი, განშლა და ხარჯთაღრიცხვის საორიენტაციო ღირებულება.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირისაგან,
საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი:
მაია სულავა, ტელ: +995 493 22-45-54
მობილური 599 748 436
ელ. ფოსტა: potitenderi2011@gmail.com
წერილობითი მომართვის შემთხვევაში - თვითმმართველი ქალაქ ფოთი,
დ. აღმაშენებლის ქუჩა № 12, საკონკურსო კომისია.

დანართი 2

საკონკურსო წინადადება

თარიღი----------წ.
(კონკურსის ჩატარების თარიღი)

ვის: თვითმართველი ქალაქი ფოთი

(შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება)

ვისგან: ----------
(კონკურსანტის დასახელება)

გავეცანით რა საკონკურსო დოკუმენტაციას, თანახმა ვართ საკონკურსო დოკუმენტაციის შესაბამისად განვახორციელოთ ----------და გთავაზობთ
(შესყიდვის ობიექტის აღწერა)
ზემოაღნიშნული მომსახურების შესრულებას შემდეგ ფასად----------ლარი.

ჩვენი საკონკურსო წინადადების გამარჯვების შემთხვევაში ვიღებთ ვალდებულებას დავიწყოთ----------გაწევა ხელშეკრულების გაფორმებისთანავე და
(მომსახურება)
დავასრულოთ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომ- „ხელშეკრულება“) ძალაში შესვლიდან----------დღის განმავლობაში.

ჩვენი საკონკურსო წინადადების გამარჯვების შემთხვევაში, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად ჩვენს მიერ წარმოდგენილი იქნება----------შემდეგ
(საბანკო გარანტია, დაზღვევა)
თანხაზე:----------.
(ციფრობრივად, სიტყვიერად)

წინამდებარე საკონკურსო წინადადება ძალაშია---------- დღის განმავლობაში, დაწყებული შემდეგი თარიღიდან----------.

ამით ვადასტურებ, რომ გაცნობილნი ვართ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონსა და სახელმწიფო სესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის

10 თებერვლის N3 ბრძანებას და კონკურსის მსვლელობის დროს ვიმოქმედებთ დადგენილი ნორმის ფარგლებში.

საკონკურსო წინადადებას თან ახლავს შემდეგი დანართები (გვერდების რაოდენობის მითითებით):

1.

2.

3.

4.

5.

.

.

--- ---

(ხელმოწერა) (თანამდებობა)

საკონკურსო პირობები და შეფასების კრიტერიუმები

1. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი ესკიზური პროექტი (ელექტრონული ვერსია), განმარტებითი ბარათით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს ფერადი ფასადები, ფერადი ვიზუალიზაცია, ბინების საერთო ხედი, განშლა და ხარჯთაღრიცხვის საორიენტაციო ღირებულება, უნდა აკმაყოფილებდეს თანამედროვე მოთხოვნებს, მისაღები უნდა იყოს საკონკურსო კომისიისათვის.

2. კონკურსანტის გამოცდილება - კონკურსანტს უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში უნდა ჰქონდეს შესრულებული არანაკლებ 50000 ლარის (ორმოცდაათი ათასი) ღირებულების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. კონკურსანტმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს უკანასკნელი 3 წლის (2010-2011-2012წწ) განმავლობაში შესრულებული საპროექტო სახარჯთაღრიცხვო მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტაციის (ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტი) ქსეროასლები, რომლის მიხედვით შესრულებული საპროექტო სახრჯთაღრიცხვო მომსახურების ღირებულება უნდა იყოს არა ნაკლებ 50 000 ლარი (ორმოცდაათი ათასი).

კონკურსში გამარჯვებულის მთავარი კრიტერიუმი არ არის კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დაბალი ფასი.

კომისია გამარჯვებულს გამოავლენს კომისიის წევრთა ხმათა უმრავლესობით.

ხელშეკრულების პირობები

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №

(მომსახურების შესყიდვა)

თვითმმართველი ქალაქი ფოთი ---------- **2012 წელი**

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1 ერთის მხრივ, თვითმმართველი ქალაქ ფოთი (ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული) - შემდეგში „შემსყიდველი“, თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარის ივანე საღინაძის სახით და მეორეს მხრივ, ----------” (კონკურსში გამარჯვებული), მისი დირექტორის ---------- სახით - შემდეგში „მიმწოდებელი“ ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:
1.2 „შემსყიდველი” კონკურსის საშუალებით შეისყიდის, ხოლო „მიმწოდებელი” (საპროექტო დოკუმენტაციის შედგენაზე კონკურსში გამარჯვებული) მიაწოდებს თვითმართველ ქალაქ ფოთში, ფოთში ფარნავაზ მეფის ქ. N1, N1ა, N3, N5, N7-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების შეფუთვის (გადახურვა ლითონკრამიტის ფურცლებით, ფასადის შეფუთვა ზედაპირდამუშავებული პენოპლასტით) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას; (შემდეგში „მომსახურება").

2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება, კლასიფიკატორის კატეგორია, ქვეკატეგორია

2.1 **შესყიდვის ობიექტი** - ფოთში ფარნავაზ მეფის ქ. N1, N1ა, N3, N5, N7-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების შეფუთვის (გადახურვა ლითონკრამიტის ფურცლებით, ფასადის შეფუთვა ზედაპირდამუშავებული პენოპლასტით) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია;;
2.2 **შესყიდვის საშუალება** - კონკურსი
საკონკურსო განცხადების ნომერი - № ----------
შესყიდვის კატეგორია ----------
კლასიფიკატორის (CPV) კოდი - ----------

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს ---------- ლარს, დღგ-სა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა - ხელშეკრულების გაფორმებიდან (20 კალენდარული დღის ვადაში).
4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველის უფლებამოსილ პირს, შესაბამისი დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტი, ფორმა N3) და სპეციალური საგადასახდო ანგარიშფაქტურა.

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

5.1 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს ამ სფეროში არსებულ, საქართველოში მოქმედ სტანდარტებს, ხელშეკრულების პირობებს და შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6. ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა

6.1 ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა განისაზღვრება, ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2012 წლის ---------- ჩათვლით.

7. შესყიდვის ობიექტის ანგარიშსწორების ფორმა და მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება - ლარებში.
7.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით – (გადარიცხვა).
7.3 ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, შესრულებული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 (ოცი) საბანკო დღის ვადაში.

8. ფორს-მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ადგილობრივი ბიუჯეტის დეფიციტი, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
8.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა 10 (ათი) დღეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
8.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

9. სხვა პირობები

9.1 ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური.
9.2 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა მომზადდეს თითოეულ ობიექტზე ცალ-ცალკე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შემსყიდველისათვის წარმოდგენილი უნდა იქნეს, როგორც ბეჭდური (4 ეგზემპლარი), ასევე ელექტრონული ფორმით.
9.3 მომწოდებელმა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისას უნდა იხელმძღვანელოს რესურსული მეთოდით, წარმოადგინოს მუშა პროექტი მშენებლობის შემფასებელთა კავშირის მიერ მიღებული მითითებებითა და რეკომენდაციებით.
9.4 მიმწოდებელი ვალდებულია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზის (მოწვევის შემთხვევაში) დასკვნის საფუძველზე გამოასწოროს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია საკუთარი ხარჯით და მხოლოდ ამის შემდეგ განხორციელდება მიმწოდებელთან საბოლოო ანგარიშსწორება.

9.5 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ხუთ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან ერთი – მიმწოდებელთან, ერთი – თვითმმართველ ქალაქ ფოთის საკრებულოში, ერთი - თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის საფინანსო და ეკონომიკური განვითარების სამსახურში, ერთი - თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურში, ერთი - თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის შესყიდვებისა და მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურში. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
10.6 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
10.7 აღნიშნული ხელშეკრულებით გაუთვალისწინებული საკითხები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით და შემსყიდველის მიერ დამტკიცებული სატენდერო დოკუმენტაციით.

11. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი”	„მიმწოდებელი”
თვითმმართველი ქალაქ ფოთი **(თვითმმართველი ერთეული)** **თვითმმართველი ქალაქ ფოთის** **საკრებულოს თავმჯდომარე** **ივანე საღინაძე**	

მის: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. №-12
სს „საქართველოს ბანკი”

ა/ა GE49BG0000000912389300,
ბ/კ BAGAGE22, ს/კ № 215138143